კახეთის რეგიონი

ახმეტის მუნიციპალიტეტი

მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა

2023-2027 წლებისათვის

2022 წელი

სარჩევი

ნაწილი 1 - რეზიუმე 3

1.1 დაგეგმვის საფუძველი 3

1.2 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მიზანი 3

1.3 გეგმის შემუშავების პროცესი 3

1.4 არსებული მდგომარეობის მიმოხილვა 4

1.5 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შესრულებაზე ანგარიშვალდებული ორგანიზაცია 6

ნაწილი 2 - შესავალი და არსებული მდგომარეობა 6

2.1 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მარეგულირებელი და საკანონმდებლო საფუძვლები 6

2.2 მუნიციპალიტეტის აღწერა და დემოგრაფიული მონაცემები 9

2.3 გეგმის ამოცანები და მიზნობრივი შედეგები 10

2.4 დაგეგმვის პროცესის აღწერა 11

3.1. შესავალი 12

3.2. გეგმაში მიმოხილული ნარჩენების სახეობები 13

3.3. ნარჩენების რაოდენობა 13

3.4. ნარჩენების პროგნოზირება 14

3.5. ნარჩენების შემადგენლობის ანალიზი 14

ნაწილი 4 - არსებული მუნიციპალური ნარჩენების სისტემის მიმოხილვა 15

4.1. ნარჩენების განთავსების არსებული ობიექტები 20

4.2. აღდგენა (რეციკლირება და კომპოსტირება) 21

4.3. ხარჯები და ხარჯების ანაზღაურება 21

4.4. ბიუჯეტი და დაფინანსების პროცესები 22

ნაწილი 5- ნარჩენების მართვის მომავალი ვარიანტების ანალიზი და რეკომენდაციები 23

ნაწილი 6 - სამოქმედო გეგმა და განხორციელების ვადები ..... **Error! Bookmark not defined.**

ნაწილი 1 - რეზიუმე

1.1 დაგეგმვის საფუძველი

საქართველოს კანონის "ნარჩენების მართვის კოდექსი" თანახმად ადგილობრივმა თვითმმართველობებმა უნდა შეიმუშაონ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმები, რომელთა მიზანს უნდა წარმოადგენდეს სამიზნე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა არის დოკუმენტი, რომელიც ადგენს ჩარჩოს, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტი განახორციელებს ნარჩენების მართვას და შეასრულებს იმ ვალდებულებებს, რაც მას ეკისრება ნარჩენების მართვის კუთხით ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით.

1.2 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მიზანი

ახმეტის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის პროცესის დაგეგმვა ნარჩენების ინტეგრირებული მართვის თანამედროვე მიდგომების მიხედვით. აღნიშნული გეგმის მიზანია ნარჩენების მართვის ისეთი სისტემის შემუშავება და განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის, კომერციული ობიექტებისა და კერძო სექტორისათვის ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ეფექტიანი მომსახურების მიწოდებას.

აღნიშნული გეგმა ასევე მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტში ნარჩენების სეპარირებულად შეგროვების სისტემების ეტაპობრივ დანერგვას და გამართულ ფუნქციონირებას აღდგენის პროცესების ხელშეწყობის მიზნით, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საქართველოს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის 2016–2030 და ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის 2023–2027 მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობას მუნიციპალურ დონეზე.

წინამდებარე გეგმა მომზადებულია საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი" მოთხოვნების შესაბამისად.

ახმეტის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმაში წარმოდგენილი ინფორმაცია ასახავს 2022 წლისათვის მუნიციპალიტეტში არსებულ მდგომარეობას, გამოწვევებსა და შესაძლებლობებს.

1.3 გეგმის შემუშავების პროცესი

ახმეტის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება განხორციელდა მუნიციპალიტეტში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ (ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური" და მუნიციპალიტეტის მერიის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის

წარმომადგენლები), „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ პროექტის ფარგლებში, ბუნების მკვლევართა კავშირის „ორქისი“ მიერ, შვედეთის მთავრობის დაფინანსებით, შვედეთის მუნიცპალიტეტშორისი ორგანიზაციის „Gästrike återvinnare“ გამოცდილების გაზიარებით შემუშავებული, ,,კახეთის რეგიონის მუნიციპალური მართვის გეგმის 2023-2027 წ. *(სამუშაო ვერსია)* საფუძველზე.

გეგმის შემუშავების პროცესში განხორციელდა რიგი საკონსულტაციო შეხვედრები დაინტერესებული მხარეების სხვადასხვა ჯგუფებთან.

1.4 არსებული მდგომარეობის მიმოხილვა

ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მუნიციპალიტეტს, რომელიც პასუხისმგებელია ნარჩენების მართვის კონკრეტული ფუნქციების შესრულებაზე. კერძოდ, ახმეტის მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელია მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მომსახურებაზე, ქუჩების, პარკებისა და სხვა საზოგადოებრივი ადგილების დასუფთავებაზე მისი ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლებში.

ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებას და ტრანსპორტირებას თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე უზრუნველყოფს ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“. აღნიშნული ნაგავსაყრელი შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ ბალანსზეა. ყოველდღიურად აღნიშნულ გადამტვირთ სადგურზე 20 ტონაზე მეტი ნარჩენის ტრანსპორტირება ხდება.

ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“ ახდენს ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურების მიწოდებას როგორც ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის, ისე კერძო სექტორისათვის.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ნარჩენების შეგროვების მომსახურების მიწოდება ხდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე.

სატრანსპორტო საშუალებებთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტმა 2017 წელს მიიღო 5 ავტოსატრანსპორტო საშუალება (აქედან ორ ერთეული 4მ^3 მოცულობის მაღლი გამავლობის ნაგავმზიდი, ორი ერთეული 7მ3 მოცულობის და ახალი სატრანპორტო საშუალება ერთხიდიანი 13მ^3 მოცულობის).

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრში ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურების მიწოდება ხდება კონტეინერული სისტემით, ხოლო მუნიციპალიტეტის სოფლებში მომსახურების მიწოდება ხდება შერეული სისტემით, კონტეინერული და ზარის სისტემით.

ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია სულ 1010 კონტეინერი. აქედან, 571 ევრო სტანდარტის შესაბამისი კონტეინერი, 439 ადგილობრივი წარმოების კონტეინერი, რომლებიც შეიცვლება ევროსტანდარტის შესაბამისი კონტეინერებით. გარდა ამისა, თუშეთის ადმინისტრაციული ერთეულისთვის გვაქვს 60 ერთეული 0,73 $მ^3$ მეტალის კონტეინერი, 50 ერთეული 120 ლიტრიანი და 50 ერთეული 240 ლიტრიანი პლასტმასის კონტეინერები, რომლებიც აკმაყოფილებენ ევრო სტანდარტებს.

მუნიციპალიტეტს, 2022 წლის ბოლოს მიღებული აქვს 450 ერთეული პლასტმასის კონტეინერი (1.1$მ^3$ მოცულობის). წლის ბოლომდე გამოეცემა 100 ცალი 240 ლიტრიანი, 100 ცალი 120 ლიტრიანი და 69 ცალი 50 ლიტრიანი ევროსტანდარტების კონტეინერი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურების ფარგლებში კომპანია ნარჩენების შეგროვების მომსახურებას უწევს მის ფარგლებში მდებარე ბაწარა-ბაბანეურის დაცულ ტერიტორიებს, საიდანაც ნარჩენების გატანა ხდება ნარჩენების შეგროვების სამი კონტეინერის საშუალებით.

ახმეტის მუნიციპალიტეტი არ აწარმოებს მის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების აღრიცხვას სახეობების და მახასიათებლების მიხედვით. შესაბამისად ესეთი ტიპის ინფორმაცია მუნიციპალურ დონეზე მიუწვდომელია.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შემადგენლობის შესახებ მსჯელობისას შეგვიძლია გამოვიყენოთ არსებული კვლევის შედეგები. კერძოდ, კახეთის რეგიონში, ქ. თელავის მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონზე, 2015–2016 წლებში განხორციელებული ნარჩენების მორფოლოგიური შემადგენლობის სეზონური კვლევის მონაცემები. აღნიშნული კვლევის მიხედვით ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების მთლიან ნაკადში წამყვანი პოზიცია უჭირავს ორგანულ ნარჩენებს (42.72%), პლასტმასს (12.84%), ქაღალდსა და მუყაოს (11.19%). აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტში ნარჩენების გადამუშავების სისტემების შემუშავებისას ყურადღება ამ ნაკადებზე უნდა გამახვილდეს.

მუნიციპალიტეტში არ ხდება აღდგენას დაქვემდებარებული ნარჩენების ცენტრალიზებული შეგროვება და გატანა, ასევე, ადგილზე არ არის მოწყობილი გადამუშავებას დაქვემდებარებული ნარჩენების ნაკადების შეგროვების პუნქტები.

მუნიციპალიტეტში ასევე არ არის დანერგილი კომპოსტირების პრაქტიკა.

ახმეტის მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ტარიფი განსაზღვრულია ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 3 აგვისტოს N55 დადგენილებით, რომლის მიხედვით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური პირებისათვის დასუფთავების მოსაკრებლის განაკვეთი შეადგენს 0.50 ლარს. მოსაკრებელი იურიდიული პირებისათვის, საწარმოების, დაწესებულებებისა და ინდ. მეწარმეებისთვის გაიანგარიშება სხვადასხვა საზომი ერთეულებით. ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსხურების გადასახადის გადახდა მხოლოდ საწარმოებიდან ხდება. ამ ეტაპზე მომსახურების საფასურის გადახდა მოსახლეობის მიერ არ ხდება, რადგან არ არსებობს გადასახადის ამოღების მექანიზმი და ეს მომსახურება მთლიანად დაფარულია სახელმწიფოს მიერ. 2022 წელს საწარმოებიდან/მეწარმეებიდან რომლებისთვისაც ნარჩენების შეგროვებვის სერვისის მიწოდება ხდება, ამოღებულ იქნა 44 000 ლარამდე ოდენობის თანხა, დასუფთავების მოსაკრებლის სახით.

ნარჩენების მართვის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები 2019 წელს 498.114 ლარს, 2020–ში 602,084 ლარს, ხოლო 2021 წელს 860,775 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, მთლიანი ბიუჯეტიდან ნარჩენებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის წილი შეადგენდა 2.6% 2019 წელს, 3,6% – 2020 წელს და 4,8% 2021 წელს.

1.5 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შესრულებაზე ანგარიშვალდებული ორგანიზაცია

ახმეტის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმის განხორციელებაზე პასუხიმგებლობა ახმეტის მუნიციპალიტეტი; გეგმის განხორციელების ყოველ ეტაპზე მოხდება თანამშრომლობა და აქტივობების კოორდინირება მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებთან.
ნარჩენების მართვა მთლიანად ევალება ა(ა)იპ ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის“ 93 თანამშრომელს (33-დამგველი, 18-მუშა-შემგროვებელი, 15 ტექნიკური სპეციალისტი (დამლაგებლები და ავტოშემკეთებლები) 6-მძღოლი, 9-ადმინისტრაცია, 2-დარაჯი).

ნაწილი 2 - შესავალი და არსებული მდგომარეობა

2.1 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მარეგულირებელი და საკანონმდებლო საფუძვლები

საქართველოში ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებლობა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურაზეა განაწილებული.

ნარჩენების მართვის ერთიანი ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაზე, განხორციელებასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

არასახიფათო ნაგავსაყრელების ფუნქციონირებაზე, მათ მშენებლობაზე, ფუნქციონირებასა და დახურვაზე, აგრეთვე, ნარჩენების გადამტვირთი სადგურების მშენებლობასა და ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, კერძოდ, სამინისტროს დაქვემდებარების ქვეშ არსებული შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.

ადგილობრივ დონეზე ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს, რომლებიც საქართველოს კანონის "ნარჩენების მართვის კოდექსი" თანახმად პასუხისმგებელნი არიან ნარჩენების მართვის კონკრეტული ფუნქციების შესრულებაზე. საუბარია მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მომსახურებაზე, ქუჩების, პარკებისა და სხვა საზოგადოებრივი ადგილების დასუფთავებაზე თავიანთი ადმინისტრაციული ტერიტორიების ფარგლებში.

კანონის "ნარჩენების მართვის კოდექსი" თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობები ვალდებულნი არიან შეიმუშაონ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმები.

აღნიშნული ნარჩენების მართვის გეგმა უნდა ეფუძნებოდეს ნარჩენების მართვის იერარქიას და „ნარჩენების მართვის კოდექსი"-ს მე-5 მუხლით გათვალისწინებულ პრინციპებს. კანონის მიხედვით, ასეთი გეგმები უნდა მოიცავდეს 5–წლიან პერიოდს, და უნდა შეესაბამებოდეს ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას. აღნიშნული მუნიციპალური გეგმები ასევე უნდა შეესაბამებოდეს ნარჩენების მართვის სხვა სახელმწიფოებრივ ინიციატივებს ნარჩენების კონკრეტული ნაკადების მიმართ, მათ შორის, მდგრადი ორგანული დამბინძურებლების, ვერცხლისწყლის, სამედიცინო და ცხოველური წარმოშობის ნარჩენების და აზბესტის მიმართ.

კანონის "ნარჩენების მართვის კოდექსი" თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების ეფექტიანი სისტემის დანერგვა თავიანთ ადმინისტრაციულ საზღვრებში, აგრეთვე ნარჩენების სეპარირებულად შეგროვების სისტემების ეტაპობრივი დანერგვა და გამართული ფუნქციონირება, რაც ხელს შეუწყობს ნარჩენების აღდგენის პროცესებს. კანონი განსაზღვრავს ნარჩენების შეგროვების ზოგად პრინციპებს, რომლის მიხედვითაც ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და დამუშავება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ არ შეიქმნას სირთულეები მათი შემდგომი აღდგენის მხრივ. ამასთანავე, კანონი მოითხოვს, რომ მუნიციპალური ნარჩენები შეგროვდეს, ტრანსპორტირებული იქნას და

დამუშავდეს იმ წესით, რომელიც მაქსიმალურად გამორიცხავს გარემოს დაბინძურებასა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზიანის მიყენების რისკს.

კანონი "ნარჩენების მართვის კოდექსი" კრძალავს ნარჩენების ყოველგვარ უკანონო განთავსებას, ანუ განთავსებას ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერების გარეთ და ნარჩენების შესაგროვებელი პუნქტების გარეთ. ამ მოთხოვნის შესასრულებლად, მუნიციპალიტეტები უფლებამოსილნი არიან მოსთხოვონ დამნაგვიანებელ პირებს ტერიტორიის დასუფთავება, ხოლო თუ ასეთი პირების იდენტიფიცირება შეუძლებელია, მაშინ დანაგვიანებული ტერიტორის დასუფთავების ვალდებულება დაეკისრება თავად ტერიტორიის მესაკუთრეს. თუ ტერიტორია ეკუთვნის მუნიციპალიტეტს, მაშინ ნარჩენებისაგან მის გასუფთავებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი.

კანონი "ნარჩენების მართვის კოდექსი" ასევე ითვალისწინებს, რომ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმებში განსაზღვრული იყოს საშუალებები, რომლებიც გაზრდიან ნარჩენების რეციკლირებისა და აღდგენის დონეს მუნიციპალიტეტების მიერ შემუშავებული მუნიციპალური პროგრამების მეშვეობით. ეს შეიძლება მოიცავდეს მათ შორის ნარჩენების აღდგენის პროცესის ხარჯ–ეფექტიანობისაკენ მიმართულ რეგიონულ ინიციატივებს[1].

კონკრეტულად, კანონის "ნარჩენების მართვის კოდექსი" მე-13 მუხლი განსაზღვრავს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის როგორც შინაარსს, ისე მინიმალურ ამოცანებს. ქვემოთ მოცემული ამონარიდი კანონით განსაზღვრული კონკრტული მოთხოვნების შესახებ:

მუხლი 13. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა

1. თითოეულმა მუნიციპალიტეტმა უნდა მიიღოს საკუთარ ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმა. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა შესაძლოა შემუშავდეს მოსაზღვრე მუნიციპალიტეტების მიერ ერთობლივად.
2. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა უნდა შეესაბამებოდეს ნარჩენების მართვის ეროვნულ გეგმას და ამ კოდექსის მე-12 მუხლის მე-7 ნაწილით განსაზღვრულ სხვა გეგმებს.
3. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მიღებამდე უნდა გაიმართოს საჯარო განხილვები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ დაინტერესებული პირები და მოსაზღვრე მუნიციპალიტეტები. საჯარო განხილვები უნდა მოაწყოს შესაბამისმა მუნიციპალიტეტ(ებ)მა.
4. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა უნდა მოიცავდეს:

ა) ინფორმაციას მოსახლეობისგან ნარჩენების შეგროვების არსებული სისტემის შესახებ;

ბ) მონაცემებს შეგროვებული, აღდგენილი და განთავსებული არასახიფათო ნარჩენების რაოდენობისა და სახეობების შესახებ;

გ) მონაცემებს მოსახლეობისგან შეგროვებული, აღდგენილი და განთავსებული სახიფათო ნარჩენების რაოდენობისა და სახეობების შესახებ;

[1] კანონი ითვალისწინებს, რომ ერთმანეთის მეზობელმა მუნიციპალიტეტებმა შეიძლება შექმნან მუნიციპალური ნარჩენების მართვის ერთიანი სისტემები და, ასევე, შეიმუშავონ მუნიციპალური ნარჩენების ერთობლივი მართვის გეგმა (თუ მისი შესრულება უზრუნველყოფილი იქნება.

დ) ნარჩენების დამუშავების საწარმოების ადგილმდებარეობას; ე) ინფორმაციას მუნიციპალური ნარჩენების, მათ შორის ბიოდეგრადირებადი ნარჩენებისა და შეფუთვის ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და აღდგენის სისტემის დანერგვის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ; ვ) ნარჩენების დამუშავების ახალი ობიექტების მშენებლობის გეგმებს; ზ) ნარჩენების მართვის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროგრამებს; თ) ნარჩენების მართვის სფეროში სხვა მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის არსებულ და დაგეგმილ ღონისძიებებს; ი) გეგმით გათალისწინებულ ღონისძიებების განხორციელების გზებს და ვადებს, პასუხისმგებელ პირებს, სავარაუდო ხარჯებს და დაფინანსების წყაროებს; წყარო: საქართველოს კანონი "ნარჩენების მართვის კოდექსი".

2.2 მუნიციპალიტეტის აღწერა და დემოგრაფიული მონაცემები

ახმეტის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, კახეთის რეგიონში. მუნიციპალიტეტს დასავლეთით ესაზღვრება დუშეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტები, ჩრდილოეთით – ჩეჩნეთი, აღმოსავლეთით – თელავის მუნიციპალიტეტი და დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა, სამხრეთით კი ახმეტის მუნიციპალიტეტს ემიჯნება საგარეჯოს მუნიციპალიტეტი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორია 2,207.6 კმ^2 შეადგენს, საიდანაც 30.8 კმ^2 უჭირავს ურბანულ, ხოლო 393 კმ^2 – არაურბანულ ტერიტორიას; ხოლო 80,266 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებსა და 91200 ჰა ტყის მასივებს, შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის დაბალ ზონაში ზომიერად ნოტიო ჰავაა, ცხელი ზაფხულით და ზომიერად ცივი ზამთრით. ნალექების წლიური მოცულობა 770-820 მმ-ის ფარგლებშია. ზღვის დონიდან 700-1,200 მ ზონაში ჩამოყალიბებულია ზომიერად ნოტიო ჰავა. ნალექების საშუალო წლიური მოცულობა 1,200-2 000 მმ-ია. წლის ყველაზე ცივი თვის იანვრის საშუალო ტემპერატურაა (-)3°C, ხოლო ივლისის— 22°C. ზღვის დონიდან 1200-2000 მ-ზე განვითარებულია ტენიანი ჰავა, ცივი ზამთრითა და გრილი ზაფხულით. ნალექების საშუალო წლიური მოცულობა კი 1500-1700 მმ-ს აღწევს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჰიდროლოგიური ქსელი ძალზე ხშირია. მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელია მთის სწრაფი მდინარეები. მდინარეები წარმოდგენილია პირიქითი ალაზნისა და თუშეთის ალაზნის აუზით.

2014 წლის აღწერის მონაცემებით, ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 31461 კაცს შეადგენს. აქედან 7500 კაცი ურბანულ, ხოლო – 23, 961 არაურაბნულ

მოსახლეობას შეადგენს. 2005 წლის მონაცემებს თუ შევადარებთ ამ მონაცემებს ვნახავთ, რომ 8,600 კაცი შეადგენდა ურბანულ, ხოლო 33,070 – არაურბანულ მოსახლეობას, რაც ჯამში 41,670 მოსახლეს შეადგენს მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 79.00% ეთნიკურად ქართველებს შეადგენს, მოსახლეობის 17.39% – ქისტებს, 2.21% – ოსებს და 0.3% აზერბაიჯანელებს.

მუნიციპალიტეტში 61 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი, 110 სოფელი. ყველაზე დიდი სოფელია სოფელი მატანი. ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სიმჭიდროვე 18,9 კაცი კვ.კმ-ზე შეადგენს.

მუნიციპალიტეტის წამყვანი დარგია მევენახეობა, განვითარებულია აგრეთვე მებაღეობა, მარცვლეულის წარმოება, მებოსტნეობა, ეთერზეთოვანი კულტურების, ხორცისა და რძის წარმოება.
მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 75 საწარმო, 349 ინდ. მეწარმე და 3 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი.

მუნიციპალიტეტში 23 სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა, 12 ბიბლიოთეკა, 2 მუზეუმი და 3 ფოლკლორის ცენტრი.
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 17 სამედიცინო ამბულატორია, ერთი ა(ა)იპ ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის სოციალური სახლი“ და ერთი კლინიკა და ერთი პოლიკლინიკა სულ 25 საწოლზე.

2.3 გეგმის ამოცანები და მიზნობრივი შედეგები

ახმეტის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა მიმართულია შემდეგი მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტასა და შედეგების მიღწევაზე:

- ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ მონაცემთა მართვის სისტემის (მონაცემების შეგროვება და მონაცემთა ბაზა) ჩამოყალიბება 2027 წლისათვის;
- მუნიციპალიტეტის თანამშრომლების უნარ–შესაძლებლობების გაძლიერება ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვის კუთხით;
- ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი მომსახურების (მათ შორის როგორც მოსახლეების, კომერციული ობიექტების, ისე საწარმოების საკმარისი რაოდენობის კონტეინერებით, ნარჩენების გატანის საკმარისი სიხშირით უზრუნველყოფა) მიწოდება მოსახლეობის, კომერციული ობიექტებისა და არსებული საწარმოებისათვის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე;
- ნარჩენების შეგროვების მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა:

    - მუნიციპალური ნარჩენები 90% 2024 წლისთვის;
- სახიფათო მუნიციპალური ნარჩენების მართვის კოორდინირება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შესაბამისი დადგენილების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დახურული სტიქიური ნაგავსაყრელების რემედიაცია 2023-2027 წლისთვის;
- ნაგავსაყრელებზე მუნიციპალური ბიოდეგრადირებადი ნარჩენების განთავსების შემცირების ხელშეწყობის საქმიანობების განხორციელება (კომპსოტირების პრაქტიკის ფართო დანერგვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე);
- ქაღალდის, მინის, მეტალისა და პლასტიკის წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების სისტემის ჩამოყალიბება 2023-2027 წლისთვის;
- ქაღალდის, მინის, მეტალისა და პლასტიკის რეციკლირების შემდეგი მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა:
    - ქაღალდი 50% 2023-2027 წლისთვის;
    - პლასტმასი 50% 2023-2027 წლისთვის;
- მუნიციპალიტეტში მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება და დანერგვა 2023-2027 წლისთვის;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე კერძო სექტორიდან ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება და დანერგვა 202-2027 წლისთვის;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის საკითხებზე.

2.4 დაგეგმვის პროცესის აღწერა

დაგეგმვის ჩარჩო

გეგმა შემუშავებულ იქნა *მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მომზადების სახელმძღვანელო დოკუმენტის*[2] მიხედვით. აღნიშნულ სახელმძღვანელო დოკუმენტში მოცემულია ის ზოგადი ჩარჩო, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტების მიერ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება.

საწყის ეტაპზე მუნიციპალიტეტის ფარგლებში გამოიყო ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ შემდეგი ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის“ ხელმძღვანელი, საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკის სამსახურის და ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების წარმომადგენლები, რომელთაც დაევალათ აღნიშნული გეგმის მომზადება.

დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და მონაწილეობის პროცესი

ზემოთ აღნიშნულმა ჯგუფმა გამოკვეთა გეგმასთან მიმართებაში დაინტერესებულ მხარეთა შემდეგი ჯგუფები – კომერციული ობიექტები და საწარმოები, რომლებიც ადგილზე ფუნქციონირებენ, მსხვილი ფერმერები, ქალთა ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვ. რომლებთანაც განხორციელდა კონსულტაციები გეგმის შემუშავების სხვადასხვა ეტაპზე და რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულები მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების მთელ პროცესში.

საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანია და მონაწილეობის პროცესი

დაინტერესებული მხარეების გეგმის შემუშავების პროცესში ჩართულობის უზრუნველსაყოფად და მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით განხორციელდა საკონსულტაციო შეხვედრა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით.

გეგმის შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამოქვეყნებული იყო განცხადებები აღნიშნული გეგმის მომზადებისა და საკონულტაციო შეხვედრების ორგანიზების შესახებ. აქედან შეხვედრები მოეწყო კომერციული ობიექტებისა და საწარმოების მეპატრონეებთან, მსხვილ ფერმერებთან, მოსახლეობასთან, საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგებთან. შეხვედრაზე განიხილებოდა ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმის ძირითადი მიზნობრივი მიმართულებები და ასევე ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურების ტარიფებთან დაკავშირებული საკითხები. დამსწრეთაგან ძირითადი კითხვები ეხებოდა იმ საკითხებს თუ რა ბერკეტი არსებობს აღნიშნული მოსაკრებლის ამოღების რეალურად ასამოქმედებლად. ასევე მოსახლეობის ნაწილმა გააპროტესტა აღნიშნული მოსაკრებლის ამოღების საკითხი, რასთან დაკავშირებითაც მუნიციპალიტეტი გეგმავს ამ მხრივ აქტიურ მუშაობას.

ნაწილი 3 – მუნიციპალური ნარჩენების დახასიათება

3.1. შესავალი

ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებასა და გატანას თელავის ნაგავსაყრელზე ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“ უზრუნველყოფს. აღნიშნული სამსახური ახდენს შემდეგი სახის მომსახურების გაწევას მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფარგლებში:

შეგროვების მომსახურეობა მოსახლეობისა და კომერციული დაწესებულებებისათვის, ჯანდაცვის ობიექტებისათვის; ასევე, ქუჩების დაგვა / დასუფთავება, ბალახის/ხეების ჭრა, ბაღის ნარჩენის, მკვდარი ცხოველების გატანა ხდება ამ კომპანიის მიერ.

ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურში“ ამჟამად დასაქმებულია 93 თანამშრომელი. უსასყიდლო სარგებლობის ფორმით ახმეტის მერიისგან გადაცემული აქვს 15 ერთეული ავტომობილი, აქედან 9 ერთეული სპეც

მანქანა ნაგავმზიდი, აქედან 5 მუშა მდგომარეობაში, მათგან ერთი მანქანა ემსახურება თუშეთის ადმინისტრაციულ ერთეულს.

3.2. გეგმაში მიმოხილული ნარჩენების სახეობები

აღნიშნული გეგმა განიხილავს ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შემდეგ სახეობებთან მიმართებაში არსებულ მდგომარეობას:

- საყოფაცხოვრებო ნარჩენები;
- კომერციული ობიექტების ნარჩენები[3];
- ქუჩის ნაგავი;
- ფოთოლი და ბაღის ნარჩენები;
- მცირე საწარმოო ობიექტების ნარჩენები;
- სამშენებლო ნარჩენები;
- სახიფათო ნარჩენები.

3.3. ნარჩენების რაოდენობა

ახმეტის მუნიციპალიტეტში წარმოქმნილი ნარჩენების სახოებებისა და რაოდენობის შესახებ ზუსტი მონაცემები, ისევე როგორც მთლიანად ქვეყნის შემთხვევაში, არ მოიპოვება, რადგან არ მიმდინარეობს წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო მყარი ნარჩენების რაოდენობის აღრიცხვა. ნარჩენების მოცულობის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ ნაგავსაყრელებზე შეტანილი ნარჩენების რაოდენობის მიხედვით.

2021 წლის მონაცემების მიხედვით მოცემულ წელს შეგროვდა 6,212 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი.

უცნობია ყოველწლიურად წარმოქმნილი მუნიციპალური სახიფათო ნარჩენების რაოდენობა, რადგან არ ხდება მუნიციპალური სახიფათო და სხვა ნარჩენების განცალკევებული შეგროვება. ასევე, არ მოიპოვება მონაცემები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი დიდგაბარიტიანი[4] ნარჩენების რაოდენობის შესახებ.

საკმაოდ მწირია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ და შესაბამისად, აშკარად დგება საჭიროება მუნიციპალიტეტმა მოახდინოს მონაცემთა ბაზის შექმნა, სადაც აღრიცხული იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა სახეობების მიხედვით, რაც ნარჩენების ეფექტიანი მართვის ამოსავალი წერტილია.

4 საქართველოს კანონის "ნარჩენების მართვის კოდექსი" მიხედვით, დიდგაბარიტიან ნარჩენებს განეკუთვნებიან ნარჩენები, რომლებიც თავიანთი ზომებისა და ფორმის გამო ვერ თავსდება ნარჩენების სათავსში.

3.4. ნარჩენების პროგნოზირება

გამომდინარე იქიდან, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტს არ ააქვს სანდო ინფორმაცია მის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ დინამიკაში საკმაოდ რთულია სამომავლო პროგნოზების გაკეთება, თუმცა გარკვეული დასკვნების გაკეთება შეიძლება მოსახლეობის რაოდენობისა და ნარჩენების შეგროების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ფაქტორების გათვალისწინებით.

როგორც დემოგრაფიული მონაცემებიდან ჩანს სახეზეა მოსახლეობის რაოდენობის მცირე ზრდა, რაც სავარაუდოდ მომავალშიც გაგრძელდება; აღნიშნული ფაქტორი თავისთავად წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის ზრდას გამოიწვევს. ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ მოხდება ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ეფექტიანი მომსახურების მიწოდება მთელი მუნიციპალიტეტის მოსახლეებისა და საწარმოებისათვის, ესეც ბუნებრივია მუნიციპალიტეტის მიერ სამართავი ნარჩენების რაოდენობის ზრდას გამოიწვევს.

თუმცა ამ ეტაპზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ რაოდენობრივ მონაცემებზე საუბარი არ იქნება გამართლებული ნარჩენების რაოდენობის შესახებ ზუსტი მონაცემების გარეშე.

3.5. ნარჩენების შემადგენლობის ანალიზი

ნარჩენების შემადგენლობაზე მსჯელობისას, გამომდინარე იქიდან, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტს არ ააქვს ინფორმაცია მის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შემადგენლობის შესახებ, შეგვიძლია გამოვიყენოთ 2015–2016 წლებში ქ. თელავის მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონზე განხორციელებული ნარჩენების მორფოლოგიური შემადგენლობის სეზონური კვლევის შედეგები[5].

ქვემოთ წარმოდგენილია აღნიშნული კვლევის შედეგები, რაც გვაძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის აღდგენადი ნარჩენების ამოღება შეიძლება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოებული ნარჩენების ნაკადიდან. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოხდება მუნიციპალიტეტის რეციკლირების პოტენციალის შეფასება.

3.5.1 ნარჩენების მორფოლოგიური შემადგენლობა

ნარჩენების შემადგენლობის ყველაზე განახლებული მონაცემები, მათ შორის ნარჩენების სხვადასხვა ფრაქციების/ნაკადების რაოდენობა და პროცენტული წილი მთლიან მუნიციპალურ ნარჩენებში, არ არის ხელმისაწვდომი რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტისთვის. მუნიციპალური ნარჩენების შემადგენლობის შესაფასებლად

[5] აღნიშნული მონაცემები ეყრდნობა „ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში“ (WMTR) პროგრამის ფარლგებში თელავის ნაგავსაყრელზე განხორციელებულ ნარჩენების შემადგენლობის სეზონურ კვლევას.

გამოყენებული იქნა თელავის ნაგავსაყრელზე ნარჩენების შემადგენლობის კვლევის მონაცემები. ნარჩენების ზოგადი შემადგენლობა კახეთის რეგიონში - ნარჩენების ინდივიდუალური ნაკადების პროცენტული წილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობაში გამოითვლება მუნიციპალური მყარი ნარჩენების დაგეგმვის მხარდაჭერის

კალკულატორის მეშვეობით და მოცემულია ქვემოთ ცხრილში და **Error! Reference source not found.**-ზე.



ნარჩენების შემადგენლობა	მთლიანი ნარჩენების წილი, %
ბიო-ნარჩენი	42.70%
ქაღალდი	11.20%
პლასტმასი	12.80%
შავი ლითონები	1.70%
ფერადი ლითონები	0.60%
მინა	6.00%
ხე	1.11%
ტექსტილი და ტყავი	9.40%
WEEE	1.20%
C&D	3.20%
დანარჩენი	10.09%
სულ	**100.00%**

3.5.2 ნარჩენების შემადგენლობა კახეთის რეგიონში [წონა-%]

არსებული მონაცემების მიხედვით, ნარჩენების მთლიან შემადგენლობაში დაახლოებით 43% ორგანულ ფრაქციას უკავია (ყველაზე დიდი წილი), რასაც მოჰყვება გადამუშავებადი ფრაქცია (ქაღალდი, პლასტმასი, მინა და ლითონი), რომელიც ერთად შეადგენს დაახლოებით 32%-ს; დარჩენილი სხვა ნარჩენები შეადგენს დაახლოებით 25%-ს.[6] ნარჩენების შემადგენლობის ანალიზის შედეგები შედარებულია „ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში“ პროექტის ფარგლებში ჩატარებული ნარჩენების შემადგენლობის კვლევის შედეგებთან.[7]

ნაწილი 4 - არსებული მუნიციპალური ნარჩენების სისტემის მიმოხილვა

[6] კახეთის რეგიონში მყარი მუნიციპალური ნარჩენების მორფოლოგიური შემადგენლობის სეზონური შესწავლა, WMTR ანგარიში, 2016 წ.

[7] კახეთის რეგიონში მყარი მუნიციპალური ნარჩენების მორფოლოგიური შემადგენლობის სეზონური შესწავლა, WMTR ანგარიში, 2016 წ.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებას, გატანას და ტრანსპორტირებას თელავის ნაგავსაყრელზე უზრუნველყოფს ა(ა)იპ „კ ახმეტის მუნიციპალიტეტის ეთილმოწყობის სამსახური“. აღნიშნული კომპანია უწევს ნარჩენების შეგროებისა და გატანის მომსახურების მიწოდებას როგორც მოსახლეობისათვის, ასევე, კერძო სექტორისათვის, მათ შორის ჯანდაცვის ობიექტებისთვის.
ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“ ახდენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების დაგვა – დასუფთავებას. მის მიერვე ხდება ბაღის ნარჩენის, მკვდარი ცხოველების შეგროვება და გატანა.
აღნიშნული ა(ა)იპ ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“ ასევე, ახდენს სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების შეგროვებას და ტრანსპორტირებას ქ.თელავი ვარდისუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონზე.

როგორც წესი ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“ არ ახდენს დიდგაბარიტიანი ნარჩენების გატანას. ასეთი ნარჩენების შენახვა/დასაწყობება ხდება თავად ამ ნარჩენების მფლობელების მიერ.

მოსახლეობისათვის ნარჩენების შეგროვების სერვისის მიწოდება ხდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე.

2017 წელს შეძენილი ორი ორხიდიანი მანქანით მუნიციპალიტეტი სერვისს აწვდის თუშეთისა და შახვეტილას თემებს.

ახმეტის მუნიციპალიტეტის ურბანულ ტერიტორიებზე სერვისის მიწოდება ხდება კონტეინერული სისტემით, საიდანაც ნარჩენების გატანა ხდება კვირაში სამჯერ, ხოლო სოფლად, სადაც ნარჩენების შეგროვების კონტეინერები მცირე რაოდენობითაა განთავსებული, ნარჩენების შეგროებისა და გატანის სერვისის მიწოდება ხდება კონტეინერული სისტემით კვირაში სამჯერ.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეტაპობრივად ხდება ადგილობრივი წარმოების შემგროვებელი კონტეინერების ჩანაცვლება ევროსტანდარტის კონტეინერებით.

ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯამში განთავსებულია 1010 კონტეინერი. აქედან, 571 ევრო სტანდარტის შესაბამისი კონტეინერი. გარდა ამისა, თუშეთის ადმინისტრაციული ერთეულისთვის გვაქვს 60 ერთეული 0,73 $მ^3$ მეტალის კონტეინერი, 50 ერთეული 120 ლიტრიანი და 50 ერთეული 240 ლიტრიანი პლასტმასის კონტეინერები, რომლებიც აკმაყოფილებენ ევრო სტანდარტებს. კონტეინერები განლაგებულია საცხოვრებელ სახლებთან (საიდანაც ნარჩენის შეგროვება ხდება კვირაში სამჯერ), 47 ერთეული კონტეინერი საზოგადოებრივ ადგილებში (საიდანაც შეგროვება ხდება ყოველდღე), და 3 ურნა დაცულ ტერიტორიასთან (საიდანაც ნარჩენი გადის კვირაში 3–ჯერ).

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია ნარჩენების შეგროვების კონტეინერების რაოდენობის შესახებ:

კონტეინერების რაოდენობა	დასახელებული პუნქტის დასახელება
271	ქ. ახმეტა
84	ს. მატანი
68	ს. დუისი
14	ს. ჯოყოლო
13	ს. ბირკიანი
18	ს. საკობიანო
70	ს. ზ.ალვანი
50	ს ქვ.ალვანი
5	ს. ბაბანეური
33	ს. ქისტაური
7	ს. ახალშენი
10	ს. ახშანი
23	ს. აწყური
24	ს. ხოდაშენი
11	ს. ოჟიო
17	ს. კოღოთო
7	ს. ალავერდი
4	ს. ჩაბინაანი
6	ს. ფიჩხოვანი
10	ს. მაღრაანი
7	ს. არგოხი
3	ს. არაშენდა
4	ს. ახშნის ველები
5	ს. ქვ.ხალაწანი
5	ს. შუა ხალაწანი
14	ს. ომალო
3	ს. ძიბახევი
6	ს. დუმასტური
6	ს. ყვარელწყალი
1	ს. ბაყილოვანი
10	ს. შახვეტილა
12	ს. ქორეთი
9	ს. ხორხელი
160	თუშეთი
1	კუწახტა
14	კასრისწყალი
5	წინუბანი

1010	სულ

ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურს“ გააჩნია ნარჩენების გატანის შემდეგი გრაფიკი:

	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
ქალაქი, სოფელი	ახმეტა	ახმეტა	ახმეტა	ახმეტა	ახმეტა	ახმეტა	ახმეტა
	მატანი	ძიბახევი	ომალო	ჯოყოლო	დუისი	მატანი	ომალო
	ქისტაური	ბირკიანი	ხალაწანი	ბირკიანი	საკობიანო	ქისტაური	ხალაწანი
	ახშანი	დუისი	დუმასტური	დუისი	ქისტაური	ხოდაშენი	დუმასტური
	ხოდაშენი	ჯოყოლო	მატანი	ქისტაური	ხოდაშენი	ახალშენი	საკობიანო
	ჩაბინაანი	ზ. ალვანი	ქისტაური	ზ. ალვანი	ოჟიო	ახშნის ველები	მატანი
	ხორხელი	ქვ. ალვანი	ხოდაშენი	ქვ. ალვანი	ალავერდი	არაშენდა	ქისტაური
	აწყური	მაღრაანი	საკობიანო	ხორხელი	კოღოთო	ხორხელი	ხოდაშენი
	ახშნის ველები	ფიჩხოვანი	შახვეტილა	ხოდაშენი	მატანი	ქ. ალვანი	აწყური
	ახალშენი	არგოხი				ქვ. ალვანი	
						მაღრაანი	
						არგოხი	
						ფიჩხოვანი	

მუნიციპალიტეტის ცენტრალურ მაგისტრალებზე გადანაყრის აკრეფა-დასუფთავების გრაფიკი (მიმართულებები):

- ორშაბათი - ახმეტა - თიანეთის მიმართულება.
- სამშაბათი - ახმეტა - ზ. ხოდაშენი - ალავერდი ქვ. ალვანის მიმართულება.
- ოთხშაბათი -ახმეტა - ქვ. ალვანი -ბაბანეური - მაღრაანის მიმართულება.
- ხუთშაბათი - ახმეტა - დუისი - ძიბახევის მიმართულება.
- პარასკევი - ახმეტა - დუისი -ომალო(პანკისის) მიმართულება.
- შაბათი - ახმეტა - აწყურის მიმართულება.

მუნიციპალიტეტი ნარჩენების შეგროვების და გატანის მომსახურებას უწევს მის ფარგლებში მდებარე ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიებს, საიდანაც ნარჩენების გატანა ხდება სამი ურნის საშუალებით, კვირაში სამჯერ.

ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“ პასუხისმგებელია ნარჩენების შეგროვების პროცესისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებებისა და დანადგარების მოვლა–შეკეთებაზე. ასევე, ნარჩენების მართვის მომსახურებისათვის საჭირო თანამშრომლების აყვანაზე, მათ ტრენინგსა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

ნარჩენების შეგროვების პროცესის მონიტორინგსა და ზედამხედველობას ახორციელებს მუნიციპლიტეტი, კერძოდ, ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილება.

ახმეტის მუნიციპალიტეტს შემუშავებული აქვს ტოპოგრაფიული რუკა, სადაც ასახულია ნარჩენების შეგროვების სერვისის მიწოდების არეალი. რუკებზე ასევე დატანილია მარშრუტები და ნარჩენების ურნების განლაგების ადგილები. მუნიციპალიტეტი 4 ზონად არის დაყოფილი და ამის მიხედვით არის შედგენილი ნარჩენების შეგროვები მარშრუტები.

რაც შეეხება ტექნიკას, რომლის გამოყენება ხდება ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირებისათვის და რომელიც მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია ასეთი სურათი გვაქვს:

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების ინვენტარიზაცია				
სატრანსპორტო საშუალება	**საშუალო მოცულობა მ³**	**სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა მდგომარეობის მიხედვით (ქვემოთ იხილეთ შენიშვნა)**	**სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა წლების მიხედვით (ახალი)**	
		ცუდი მდგომარეობა	**>10 წელი**	**5-10 წელი**
კომპაქტორები	9	4	5	4
თვითმცვლელი	9	4	5	4
მანქანა ადმინისტრაციისათვის		2	2	
სხვა (მუშების გადასაადგილებლად საჭირო ტრანსპორტი)		1		

ჯამში ნარჩენების შეგროვების მომსახურების გაწევისათვის მუნიციპალიტეტში გამოიყენება 9 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, აქედან 9 კომპაქტორი, 9

თვითმცლელი, რომლებიდანაც 4 საკმაოდ ცუდ მდგომარეობაშია და მათი ექსპლუატაცია დაახლოებით 5–10 წელის განმავლობაში ხდება.

ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურებაში ჯამში ჩართულია 93 თანამშრომელი (33-დამგველი, 18-მუშა-შემგროვებელი, 15 ტექნიკური სპეციალისტი (დამლაგებლები და ავტოშემკეთებლები) 6-მძღოლი, 9-ადმინისტრაცია, 2-დარაჯი).

მუნიციპალიტეტს არ აქვს თავისი საამქრო სატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნიკის მოვლა–შეკეთებისათვის. სათადარიგო ნაწილების შეძენის მიზნით ხდება ტენდერების გამოცხადება, რაც დიდ დროს მოითხოვს და აფერხებს შეგროვების სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

4.1. ნარჩენების განთავსების არსებული ობიექტები

ოფიციალური ნაგავსაყრელი პოლიგონები

ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებული ნარჩენების განთავსება ხდება ქ. თელავის ვარდისუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონზე, რომლის ფართობი 5.5 ჰა–ს შეადგენს. აღნიშნული პოლიგონი შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ ბალანსზეა.

ქ. თელავის ნაგავსაყრელზე ნარჩენების განთავსება ხდება 1987 წლიდან.

ყოველდღიურად ნაგავსაყრელზე 4 ერთეული ნაგავმზიდის საშუალებით ხდება ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებული ნარჩენის განთავსება. მანძილი შეგროვების ადგილიდან ნაგავსაყრელამდე დაახლოებით 32 კმ–ია.

განთავების შემდეგ ხდება ნარჩენების პერიოდული დაფარვა მიწის ფენით, რასაც უკვე ნაგავსაყრელის ოპერატორი კომპანია შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ უზრუნველყოფს. ნაგავსაყრელი კეთილმოწყობილია, შემოღობილია, აღჭურვილია სასწორით და მის ტერიტორიაზე შესვლა–გამოსვლა კონტროლირდება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ნარჩენების განთავსების არაოფიციალური ადგილების ინვენტარიზაცია

აღსანიშნავია, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურების ხარისხიდან გამომდინარე, არ არის დარჩენილი ე.წ. უკანანო ნაგავსაყრელები, არის მხოლოდ სტიქიური დაბინძურების კერები.

მომავალში არალეგალური ნაგავსაყრელების გაჩენის პრევენციის მიზნით მოხდება პერიოდული, რეგულარული მონიტორინგი ისეთი ადგილების, სადაც ადრე ხდებოდა ნარჩენების უკანონო განთავსება და საჭიროებისამებრ ამ ადგილებიდან მოხდება ნარჩენების გატანა და საინფორმაციო ბანერების განთავსება.

4.2. აღდგენა (რეციკლირება და კომპოსტირება)

ახმეტის მუნიციპალიტეტში არ მოქმედებს რაიმე საწარმო, რომელიც მოახდენდა აღდგენადი მასალების ცენტრალიზებულ შეგროვებას და გატანას, ასევე, არ არის ნარჩენების შეგროვების პუნქტები.

მუნიციპალიტეტში არ არის დანერგილი კომპოსტირების პრაქტიკა. მოსახლეობა არ ახდენს ორგანული ნარჩენის კომპოსტად გამოყენებას და ზოგადად, ამ საკითხისადმი ნაკლებ ყურადღებას იჩენს.

4.3. ხარჯები და ხარჯების ანაზღაურება

ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მომსახურების ტარიფების დადგენასთან დაკავშირებით აღსანიშნავია საქართველოში მოქმედი შემდეგი კანონები: ნარჩენების მართვის კოდექსი (2015), საქართველოს ორგანული კანონი ''ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" (2014), და საქართველოს კანონი ,,ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" (1998, შესწორებებით).

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"ს თანახმად, ახმეტის მუნიციპალიტეტი (კერძოდ, საკრებულო, როგორც თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო) პასუხისმგებელია ადგილობრივი მოსაკრებლების (ტარიფების) შემოღებაზე, ამოღებასა და გაუქმებაზე. მოსაკრებლოს ოდენობა განისაზღვრება იმ კანონების საფუძველზე, რომლებიც არეგულირებენ მოსაკრებლების სტრუქტურასა და ოდენობას მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე.[8] ამჟამად მოქმედ კანონებებში ტარიფების დადგენის მეთოდოლოგია არ არის განისაზღვრული და საჭიროებს შემუშავებას.

,,მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ" (1998) საქართველოს კანონის მიხედვით, მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ სულ მოსახლეზე 3 ლარს თვეში. მოსაკრებლის გადამხდელთა რაოდენობა ერთ ოჯახში არ უნდა აღემატებოდეს ოთხს, მიუხედავად ოჯახის წევრების რაოდენობისა. აქედან გამომდინარე, მოსაკრებლოს ოდენობა ერთ ოჯახზე არ უნდა აღემატებოდეს 12 ლარს თვეში; ხოლო იურიდიული პირის, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 25 ლარს ერთ კუბურ მეტრ ნარჩენებზე.

ახმეტის მუნიციპალიტეტში ტარიფი განსაზღვრულია ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 3 აგვისტოს №55 დადგენილებით ,,*ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრის შესახებ".*

[8] ნარჩენების მართვის კოდექსი, მუხლი 5, პუნქტი 2 (ბ).

აღნიშნული დადგენილების მიხედვით ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური პირებისათვის დასუფთავების მოსაკრებლის განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 1 სულიანი ოჯახებისათვის 0.50 ლარს თვეში. ხოლო იურიდიული პირებისათვის დასუფთავების მოსაკრებელის განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 25 ლარს ერთ კუბურ მეტრ ნარჩენზე თვეში.

ნარჩენების მომსახურების გადასახადის ამოღება მოსახლეობიდან არ ხდება ამოღების მექანიზმის არ არსებობის გამო. რაც შეეხება საწარმოებს, საწარმოების 100%–დან ხდება გადასახადის ამოღება იურიდიული სამსახურის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილების მიერ. მაგ. 2022 წელს ამოღებულ იქნა 44 000 ლარამდე ოდენობის გადასახადი.

4.4. ბიუჯეტი და დაფინანსების პროცესები

2019 წელს ნარჩენებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტიდან 318.003 ლარი გამოყოფილი იყო ხელფასებზე, 159.400 ლარი მასალებისა და მარაგების შესაძენად, ხოლო 20711 ლარი სხვა დანარჩენზე (როგორიცაა მუშახელსითვის საჭირო ინვენტარის (ცოცხი, ხელთათმანები და სხვ.) შეძენა / განახლება). ხოლო 2020 წელს 405371 ლარი – ხელფასები, 169517 ლარი – მასალები და მარაგები და სხვა 27196 ლარი. 2021 წელს 480,340 ლარი - ხელფასები, 207,782 ლარი – მასალები და მარაგები და სხვა - 15227 ლარი, სატვირთო ავტომობილის შეძენა - 24300 ლარი. ასევე შეძენილ იქნა ნაგვის ურნები (200 ცალი) – 101,760 ლარი. სხვადასხვა ადგილას მოხდა ნაგავსაყრელების კონსერვაცია - 46,726 ლარი.

შესაბამისად, მთლიანი ბიუჯეტიდან ნარჩენებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის წილი შეადგენდა 2.6% 2019 წელს, 3,6% – 2020 წელს და 4,8% 2021 წელს.

წელი	**2019**	**2020**	**2021**
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	18,906,510 ლარი	16,695,160 ლარი	17,816,300 ლარი
ნარჩენების მართვისათვის გამოყოფილი თანხა	498,114 ლარი	602,084 ლარი	860,775 ლარი
%	2,6%	3,6%	4,8%

წელი	**2019**		**2020**		**2021**	
ხარჯები	ფაქტობრივი		ფაქტობრივი		ფაქტობრივი	
ხელფასები	318,003	64%	405,371	67%	480,340	56%
მასალები და მარაგები	180,111	36%	196,713	33%	380,435	44%
სულ:ნარჩენების მართვისთვის	498,114		602,084		860,775	

ნაწილი 5- ნარჩენების მართვის მომავალი ვარიანტების ანალიზი და რეკომენდაციები

ახმეტის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვასთან არსებული მდგომარეობისა და ევროპაში ნარჩენების მართვის სისტემების განხილვის საფუძველზე შეიძლება მოვახდინოთ ნარჩენების მართვის სამომავლო ვარიანტების ანალიზი.

შეგროვება და ტრანსპორტირება

ნარჩენების შეგროვების გამართული სისტემის ფუნქციონირებისათვის მიზანშეწონილია მოხდეს მუნიციპალიტეტის ყველა სოფელის აღჭურვა საკმარისი რაოდენობის ურნებით, რათა შეგროვების კონტენირებული სისტემა დაინერგოს მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის იმ თემებში, სადაც ამ ეტაპზე არ ხდება ნარენების შეგროვებისა და განატის მომსახურების მიწოდება.

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების დახარისხებულად შეგროვების სისტემის დანერგვა.

მუნიციპალიტეტმა დაცული ტერტიორიების წარმომადგენლებთან ერთად უნდა განსაზღვროს დაცული ტერიტორიიდან ნარჩენების შეგროვებისათვის საკმარისი კონტეინერების რაოდენობა.

ნარჩენების შეგროვებისათვის საჭირო კონტეინერების რაოდენობა უნდა განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ტერტორიაზე ნარჩენების წარმოქმნის აღრიცხვის წარმოების საფუძველზე. ამ ეტაპისთვის წინასწარი გათვლებით საჭიროა 450 ერთეული ურნის შეძენა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული კონტეინერებიდან ნარჩენების შეგროვების გატანის სიხშირე უნდა დაიგეგმოს ისე, რომ არ მოხდეს კონტეინერების გადავსება და მიმდებარე ტერიტორიის დანაგვიანება.

მომსახურების არეალში კონტეინერების განლაგება და მათი დაშორება ნარჩენების წარმომქმნელებისგან, რომელთაც ისინი უნდა მოემსახურონ არ უნდა აღემატებოდეს 150– 200 მ–ს.

ახმეტის მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს მარშრუტის ეფექტიანი და ეკონომიური დაგეგმვა. ნარჩენების შეგროვების მარშრუტის სქემაზე მუშაობისას უნდა მოხდეს შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

- შეგროვების მიზნით მანქანის მიერ გავლილი მანძილის შემცირება და შეგროვებული ნარჩენების მასის ზრდა;
- მუნიციპალიტეტის სხვადასხვა უბანში მოძრაობის ინტენსივობა დღე–ღამის სხვადასხვა მონაკვეთში;

- ნარჩენების უსაფრთხო ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის გზებსა და ხიდებზე მოძრავი მანქანების წონის შეზღუდვა.

სწორი სატაროფო პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა მუნიციპალიტეტის ფარგლებში.

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სამართლიანი მოსაკრებლის გამოთვლა ცენტრალური ხელისუფლების მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის მიხედვით და ასევე, მოსაკრებლის ამოღების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა.

ნარჩენების განთავსება

დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე ახმეტის მუნიციპალიტეტი ვალდებულია ნარჩენების ნაგავსაყრელზე ტრანსპორტირებაზე, ხოლო ნაგავსაყრელზე ნარჩენების განთავსებას, ისევე როგორც არსებულ ქ. თელავის მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის მართვას უკვე შპს. „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ ახორციელებს.

სამშენებლო ნარჩენების განთავსების მიზნით ტერიტორიის გამოყოფა მუნიციპალიტეტის ფარლგებში და შესაბამისი ნებართვის მოპოვება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან.

აღდგენა

ნარჩენების აღდგენის პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მოხდეს ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პუნქტების მოწყობა. აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ ნაკადებზე (ქაღალდი, პლასტიკი და ორგანული ნარჩენები), რომლებიც გამოიყო ნარჩენების შემადგენლობის კვლევის დროს. მუნიციპალიტეტის სპეციფიკადან გამომდინარე ეფექტიანი იქნება ასეთი შეგროვების პუნქტების მოწყობა მაღაზიებთან და საერთო სარგებლობის ადგილებთან.

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა მოახდინოს იმ კომპანიებთან მოლაპარაკებები, რომელიც დახარისხებულად შეგროვებული ნარჩენის გატანით დაინტერესდებიან. მუნიციპალიტეტმა უნდა გამოყოს საცავი შეგროვებული ნარჩენის დასაწყობების მიზნით, სადაც კომპანია მოახდენს ნარჩენების წინასწარი დამუშავების მოწყობილობების დამონტაჟებას. წინასწარ უნდა მოხდეს მოლაპარაკება ფასზე და ნარჩენის შესყიდვის პროცედურებაზე (სავარუდოდ ნარჩენების მიყიდვა უნდა მოხდეს პირდაპირი წესით) რაც ამ ეტაპზე შეუძლებლად მიგვაჩნია.

აუცილებელია სეპარირებულად შეგროვებული ნარჩენის ტრანსპორტირება ხდებოდეს მუნიციპალიტეტის სპეციალურად ბრენდირებული

ავტოტრანსპორტით, რომ მოსახლეობა ხედავდეს, რომ ნარჩენის ტრანსპორტირება ხდება ცალკე სპციალურად გამოყოფილ საცავში.

გამომდინარე იქიდან, რომ ნარჩენების შემადგენლობის კვლევის დროს წამყვანი ადგილი ორგანულ ნარჩენებს ეკავა, მნიშვნელოვანია კომპოსტირების პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტში. ხარჯთეფექტიანობის გათვალისწინებით რეკომენდირებულია საერთო სარგებლობის (რამდენიმე ფერმერის გაერთიანება) საკომპოსტე ადგილების მოწყობა.